თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2023 წლის 26 ივნისი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 03/01/2018; 010250020.35.163.016373).

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. წლის განმავლობაში განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებებისათვის შესაბამისი პროგრამების მომზადება და მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენა;

2. ხალხური შემოქმედებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის (თეატრი, მუსიკა, მხატვრობა და სხვა) განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების მონიტორინგი;

3. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებებისათვის შესაბამის ინფრასტუქტურის მოსაწყობად, წინადადებების შემუშავება;

4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ხელშემწყობი პროექტების შექმნაში მონაწილეობის მიღება;

5. სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში კულტურის სფეროში მოღვაწე შემოქმედებით ჯგუფებთან ურთიერთობა, მათი საქმიანობის და პრობლემების შესწავლა და ხელშეწყობა;

6. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდათა, ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა მხარდაჭერა;

7. სამსახურის მმართველობის სფეროებთან დაკავშირებულ საქართველოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ამ სფეროების განვითარების მიზნით თანამშრომლობის განმტკიცება;

8. სემინარების, კონფერენციების, ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ორგანიზების ხელშეწყობა;

9. საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული ღონისძიებების ჩატარება;

10. კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

11. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა;

12. სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროგრამების შემუშავება და შესრულება;

13. საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება;

14. სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

15. შემოქმედებით ჯგუფების პოპულარიზაცია;

16. მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება.“

2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. განყოფილებების ფუნქციები

1. კულტურისა და განათლების განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს წლის განმავლობაში განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებებისათვის შესაბამისი პროგრამების მომზადებას;

ბ) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას კულტურის სფეროში;

გ) კოორდინაციას უწევს საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული ღონისძიებების ჩატარებას;

დ) პოპულარიზაციას უწევს შემოქმედებით ჯგუფებს;

ე) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობას და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობას;

ვ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებას.

2. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროგრამების შემუშავებას და ხელს უწყობს მის შესრულებას;

ბ) კოორდინაციას/ორგანიზებას უწევს საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარებას;

გ) ხელს უწყობს სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;

დ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებას.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**